ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6390278

ნომერი: AR1956832

თარიღი : 23.03.2023

გაცემის თარიღი : 29.03.2023

გაცნობის თარიღი : 29.03.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, N 23ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გრიგოლია პ/ნ 42001040113
- ქალაქი თბილისი, ზ. ჭავჭავაძის ქუჩა, N11

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №6334924 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 23 მარტს №AR1956832 განცხადებით მომართა გიორგი გრიგოლიამ და ამავე სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის

№6334924 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მონაცემებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №6334924 ბრძანებით, №01.17.01.122.025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 2022 წლის 27 ივნისის №6002036 ბრძანებით შეთანხმებული სასტუმროს არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 20 თებერვლიდან 2025 წლის 20 თებერვლის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2023 წლის 02 თებერვლის №6334924 ბრძანებაში, „მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი“-ს ველში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ შპს „სთარ ბილდინგის“ (ს/ნ: 427740288) ნაცვლად დაფიქსირებულია ი/მ "რობერტ ოვანესიან სასტუმრო კრონ პალას თბილისი" (ს/ნ: 316302434). შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

სამსახურმა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (№882023011068, მომზადების თარიღი: 11/01/2023), №01.17.01.122.025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „სთარ ბილდინგი“ (ს/ნ: 427740288), აქედან გამომდინარე და ვინაიდან, სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №6334924 ბრძანების გამოცემის დროისთვის მესაკუთრედ უკვე შპს „სთარ ბილდინგი“ (ს/ნ:427740288) ფიქსირდებოდა, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში „მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი“-ს ველში მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ უნდა დაფიქსირებულიყო შპს „სთარ ბილდინგი“ (ს/ნ: 427740288). თუმცა, ბრძანების “მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი-ს მესაკუთრეების ველში” ინფორმაცია აისახა ავტომატურად, განცხადების რეგისტრაციისას რუკაზე საპროექტო მიწის ნაკვეთის მონიშვნის დროს, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, მესაკუთრის მონაცემები პროგრამამ ავტომატურად ასახა სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №6334924 ბრძანებაში. ამასთან, დამკვეთის მონაცემებში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში შპს „სთარ ბილდინგი“ (ს/ნ: 427740288) სწორად დაფიქსირდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №6334924 ბრძანებაში და ბრძანების „მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი“-ს ველში საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ი/მ "რობერტ ოვანესიან სასტუმრო კრონ პალას თბილისი"-ს (ს/ნ: 316302434) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „სთარ ბილდინგი“ (ს/ნ: 427740288).
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №6334924 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №6334924 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.